

2021 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს „ჯეო“

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	3
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება -----	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----	5
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები -----	6-17

**შპს „ჯეო“ ფინანსური მდგომარეობის
ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრისათვის**

ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნა	31/12/2021	31/12/2020
ფულად სახსრები და მათი ეკვივალენტები	1	742234	714193
სავაჭროდ სხვა მოთხოვნები	2	2105065	1811093
სხვა პირებზე ავანსებად სესხებად გაცემულ ფულად სახსრები		1580044	862660
მარგები		4155624	3740651
მზ პროექტია		3861138	3730734
სხვა		294486	9917
სხვა მოგლევადანი აქტუვები		264082	234186
სხვა არმატორი აქტუვები	3	3865	0
ძირითად საშუალებები	3	874863	880207
სულაქტუვები		9725777	8242990
ვალდებულებები			
სავაჭროვალდებულებები		121815	79463
მოგლევადანი ნასესხები სახსრები		897569	915472
გრძელვადანი ნასესხები სახსრები		0	88962
სულვალდებულებები		1019384	1083897
საკუთარი კაპიტლი			
სააქციოკაპიტლი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტლი', კოპერტვის შემთხვევაში 'საპაიოკაპიტლი')		200	200
გაუნაწილებელ მოგება / (დგროვილი ზრდი)		8706193	7158893
სულსაკუთარი კაპიტლი		8706393	7159093
სულსაკუთარი კაპიტლი და ვალდებულებები		9725777	8242990

დირექტორი

მთავარი

**შპს „ჯეო“ 2021 წ. 31 დეკემბრის დასრულებული წლის სრულ შემოსავლებისა და
გაუნაწილებელ მოგების ანგარიშგება**

საკმედიანობის შედეგები	შენიშვნა	31/12/2021	31/12/2020
ნეტომონაგები		12275325	9903151
საქონლის გაყიდვიდან		12275325	9903151
გაყიდვების თვითღირებულება	4	-8566393	-6902468
საერთომოგება		3882483	3000683
დასაქმებულთა ანაზღაურება		-715,603	-475642
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		-67241	-52990
საპროცენტომოსავალი		209	30323
საპროცენტოხარჯი		-59911	-69554
იჯარის ხარჯი		-131438	-147555
აღმინისტრაციული და სხვა საოპერაციოხარჯი	5	-902292	-599958
სულსაოპერაციოხარჯები		-2049827	-1315376
საოპერაციომოგება		1832656	1685307
სხვა არსაოპერაციომოსავალი / (ხარჯი)		177286	-167982
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯმდე განგრძობითი ოპერაციებიდან		2009942	1517325
მოგების გადასახადის ხარჯი		0	0
საანგარიშგებოპერიოდის მოგება / ზარალი		2009942	1517325
სხვა სრულ შემოსავალი / (ზარალი):			
მიღიანი სრულ შემოსავალი / (ზარალი)		2009942	1517325
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებოპერიოდის დასაწყისში		7159093	5987031
განაწილება მესაკუთრეებზე (მათიორის დივიდენდი)		-462642	-345263
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებოპერიოდის ბოლის		8706393	7159093

დირექტორი

მთავარი ლტერი

შპს „ჯეო“

2021 წლის 31 დეკემბრისათვის საკუთარი კაპიტალის
ცვლილებების ანგარიშგება

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 31 დეკემბერი	200	7,159,093	7,159,293
წმინდა მოგება		2,009,942	2,009,942
სხვა სრული შემოსავალი	-	0	0
პერიოდის სრული შემოსავალი	-	2,009,942	2,009,942
გაცემული დივიდენდი	-	-462,642	-462,642
საწესდებო კაპიტალის ზრდა	0	0	0
2021 წლის 31 დეკემბერი	200	8,706,393	8,706,593

დირექტორი

მთავარი აღმწერი

1. ზოგადი ინფორმაცია

2. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჯეო“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2005 წლის 12 ოქტომბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 206204204. კომპანია 2005 16 დეკემბრიდან რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი ვარკეთილის IV მ/რ, III კვარტ., კორპ. 13, ბ. 65

- ფაქტიური მისამართი: თბილისი, გუდაუთის ქუჩა 7.
- საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საყოფაცხოვრებო საქონლის და სუნელ-სანელებლების იმპორტი, წარმოება შემდგომი რეალიზაციის მიზნით.
- კომპანიის 50% -50% წილის მფლობელები და კომპანიის დირექტორები არიან მუხრან გაგნიძე და მურმან კაპანაძე.
- კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2021 წლის 1 იანვრისა და 31 დეკემბრისთვის შეადგენს 200 ლარს.

შპს „ჯეო“-ს ცენტრალურ ოფისში - თბილისში გააჩნია დიდი სასაწყობო მეურნეობა და სუნელების გადამამუშავებელი თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი საწარმოო დანადგარები, აგრეთვე საკუთარი სატრანსპორტო საშუალებები. კომპანიას ათეულ წელზე მეტია, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (თელავი, ქუთაისი, ბათუმი) გააჩნია ტერიტორიული სტრუქტურული ერთეულები, საიდანაც ხდება პროდუქციის რეალიზაცია. კომპანიაში დასაქმებულია 50-ზე მეტი გამოცდილი და კვალიფიციური თანამშრომელი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება

კომპანია მსს ფასს სტანდარტებზე გადავიდა 2018 წლის 1 იანვარს. კომპანია წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, 2021 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2021 წლის საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას და 2021 წლის კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგებას, ასევე შესაბამის ახსნა განმარტებით შენიშვნებს;

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2021 წლის 31 დეკემბერს და 2020 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3,2766	4,0233

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინების განმარტებები:

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილის მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით;

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

მიწა	უვალო
შენობა ნაგებობები	30
მანქანა-დანადგარები	7
კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	5
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	7
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ სააღრიცხვო პროგრამები (7 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადით). არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

აქტივების გადაფასება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისა გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან.

კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ამონაგების აღიარება

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწუმენება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- **ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები** - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

- **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს

დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

შენიშვნა1 - ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ლარში	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ფული სალაროში	350,628	490213
ფული საბანკო ანგარიშებზე	391,606	223980
სულ ჯამი	742,234	714,193

შენიშვნა2-სავაჭრო მოთხოვნები

ლარში	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
	2,081,976	1,788,005
	23,089	23,088
სულ ჯამი	2,105,065	1,811,093

შენიშვნა 3 -ძირითადი საშუალებები																				
ინფორმაცია ძირითად საშუალებაზე		პერიოდის საწყისი მონაცემები 2021 წელი				პერიოდში განხორციელებული ცვლილებები										პერიოდის ბოლოს მონაცემები				
						შემოსავალი		გასავალი						ცვლა						
						შესყიდვა	ტალიზ	რეალიზაცია			სხვა									
საბალანსო	დასახელება	რაოდენობა	დირექტორის	აქტობის	ნარჩენი	რაოდენობა	დირექტორის	აქტობის	რაოდენობა	დირექტორის	აქტობის	ნარჩენი	რაოდენობა	დირექტორის	აქტობის	რაოდენობა	დირექტორის	აქტობის	ნარჩენი	
2110	მიწა	130927	0	130927													130927	0	130927	
2130	შენიშნა ნაგებობები	519465	83185	436280										11337			519465	94522	424943	
2150	მანქანა-დანადგარები	219469	140234	79235		49679								9608			269148	149842	119306	
2154	კავშირგაბმულობის საშუალებები	0	0	0													0	0	0	
2160	კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	73134	45461	27673		355								5706			73489	51167	22322	
2170	ავტო და სხვა ინვენტარი	60644	38262	22382		7328								3911			67972	42173	25799	
2171	ინვენტარი	0	0	0													0	0	0	
2180	სატრანსპორტო საშუალებები	327303	193238	134065		36860			52511					24051	36679		311652	205866	105786	
2190	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	45780	0	45780													45780	0	45780	
2690	სხვა არამატერიალური აქტივები	3,865.00	0	3865													3865	0	3865	
ჯამური მონაცემები		1380587	500380	880207		0	94222	0	0	52511	0	0	0	0	24051	67241	0	1422298	543570	878728

შენიშვნა 4 -რელიზებული პროდუქციის თვითღირებულება

ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
მზა პროდუქცია ნედლეული და მასალები	8,392,842	6,614,773
საწარმოო ხელფასი	173,551	287,695
ჯამი	8,566,393	6,902,468

შენიშვნა 5 -ადინისტრაციულ და სხვა საოპერაციო
ხარჯი

ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
არპირდპირი ხელფასი	-2040.83	0
სხვა საოპერაციო ხარჯები	-76383.59	0
რეკლამის ხარჯები	-5723.57	0
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	-1350	-43133.38
სატერმინალ მომსახურება	0	-468.96
ა/მანქანის რემონტი	-20672.99	-25978.08
მივლენების ხარჯი	-100	0
საერთაგადოების -ტრისა და რეგულაციების ხარჯი	0	-987.75
პროდუქციის სერტიფიცირება	-15850.06	-2256.87
საოფისე ინვენტარი	0	-105.09
საკასოპარატის ტექნ. მომსახ-ბა	-2822.29	-2113.97
კომუნიკაციების ხარჯი	-22464.35	-13673.05
საკანცელრო ხარჯი	-2494.69	-3516.11
ინტერნეტმომსახურება	-3185.74	-5375.41
კომუნიკაციის ხარჯები	-15020.25	-10974.18
გზავნილების ხარჯი	-1947.96	-2319.2
მარკეტინგული მომსახურება	-562309.32	-340914
დოკუმენტაცია	-14111.02	-13410.31
ოფისის რემონტი	-3866.99	-19978.63
შრომითი უსაფრთხოება	-4290	0
შტრიხკოდების დამზადება	-1155.94	0
საწევრო გადასახადი	-2480	0

კომპიუტერის ხარჯები	-2019.31	-1715.75
ტექნოსპექტრების ხარჯი	-163.66	0
პარკირების ხარჯი	-295	0
ტექნიკური ხარჯი	-3908.83	0
სამეურნეო ხარჯი	-33530.1	0
საკონსულტაციო ხარჯები	-37465.25	-15900
მიკრობიოლოგიური ტესტირება	-1511.63	-3255.44
საწყობების დანახარჯები	-1368	-1177.5
საექსპლუატაციო დანახარჯები	0	0
ბანკის საკომისიო	-26394.45	-22800
პოლიმერული საბჭო ფორმის მომსახურება	-16232.31	0
სხვა საგადასახადო ხარჯი	-9714.87	-7758.9
1000 ლრმდე მ/ს-ბა	-169.49	-959.33
სხვა საერთო ხარჯი	-11249.44	-61185.9
	-902291.93	-599957.81

პირობითი ვალდებულება

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ქონია;

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2022 წლის 28 სექტემბერს.

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი